საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 2612/01
18/03/2022

2612-01-2-202203181221

**საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს**

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2022 წლის 24 თებერვლის №3844 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ყვარელის მუნიციპალიტეტში, დოლოჭუპის ბაზილიკის მიმდებარედ მდინარე დურუჯის ნაპირდაცვითი (ნაპირსამაგრი) სამუშაოების განხორციელებას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- დოკუმენტში მითითებულია რომ, საპროექტო ნაპირდაცვითი ნაგებობიდან 140 მეტრში მდებარეობს დოლოჭოპის ბაზილიკა, თუმცა, მონაცემების ელექტრონული გადამოწმების შედეგად დგინდება, რომ აღნიშნული არქეოლოგიური ძეგლი საპროექტო ტერიტორიიდან დაშორებულია 110 მეტრით. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს დაზუსტებას. ამასთან, სკრინინგის განცხადებაში მოცემული არ არის ნაპირდაცვითი ნაგებობის მოწყობისათვის საჭირო სამშენებლო სამუშაოების შედეგად დოლოჭოპის ბაზილიკაზე მოსალოდნელი ზემოქმედების საკითხი;
- წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი კვეთს „ევროპის ველური ბუნების და ბუნებრივი ჰაბიტატების დაცვის შესახებ“ კონვენციის შესაბამისად შექმნილი ზურმუხტის ქსელის კანდიდატ საიტს (ყვარელი-შილდა GE0000029). აღნიშნულის გათვალისწინებით, წარმოდგენილი უნდა იქნეს ზურმუხტის ქსელის კანდიდატ საიტზე ზეგავლენის შეფასება (ე.წ. მიზანშეწონილობის შეფასება), სადაც მოცემული იქნება ინფორმაცია იმ სახეობებსა და ჰაბიტატებზე შესაძლო ზემოქმედების და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებების შესახებ, რომელთა დასაცავადაც შეიქმნა მითითებული დამტკიცებული საიტი;
- სკრინინგის განცხადებაში წარმოდგენილი არ არის ინფორმაცია მდ. დურუჯში გავრცელებულ იქთიოფაუნაზე, პროექტის განხორციელებით მასზე მოსალოდნელ ზემოქმედებაზე და ამ ზემოქმედების თავიდან აცილების ღონისძიებებზე;
- წარმოდგენილი shp ფაილების მიხედვით, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 4 აგვისტოს №299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილი ხვდება სსიპ ეროვნული სატყეო

სააგენტოს მართვას დაქვემდებარებულ სახელმწიფო ტყეში. შესაბამისად, აღნიშნული ინფორმაცია საჭიროებს სკრინინგის განცხადებაში ასახვას;

- დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს, გაბიონის კედლის მოსაწყობად საჭირო სამშენებლო მასალების საპროექტო ტერიტორიაზე ტრანსპორტირების საკითხი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე